საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 46

2011 წ. „11“ 04

ქ. თბილისი

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ ავტორიზაციის შესახებ

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ,,პოლუსს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 443-ით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია